საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 29 დეკემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზ. [illegible] ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი [illegible] 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 14

ტელეფონი 16—62.

№ 283 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 283

გაზეთ „ერთობის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ქ. სოხუმში ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი მუდმივი თანამშრომელი ამხანაგი

## ვენე ნიკურაძე

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი და ჟურ. „ახალი კვალის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ცენტრალურ კომიტეტის და რედაქციის წევრის ძვირფას ამხანაგის

## ვენე ნიკურაძის

უდროვოთ გარდაცვალებას.

კვირას, 29 დეკემბერს, დღის 12 ს ათზე დანიშნულია ქვაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

## ვენეს (ვენ-სონის)

სულის მოსახსენებლათ. რასაც მწუხარებით აუწყებს ვენეს ამხანაგებს და მეგობრებს ეკატერინე დიმიტრის ასული ტყემალაძისა. დაკრძალვის დღე იქნება გამოცხადებული. (2—2)

თავზარ დაცემულნი: მამა ნიკოლოზ მიხეილის ძე, დედა დარია მიხეილის ასული, დები: მარიამი, ეკატერინე, ელენე, ბაბული, ძმა ლუკა, ბებია ბარბალე ივანეს ასული შენგელიები, და დანიშნული მარიამ ბალუევისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ სომხებთან ბრძოლის დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე მათთვის ძვირფასი კორნეტი სახალხო ცხენოსან გვარდიისა

## მიშა შენგელია

გამოსვენება მოხდება დღეს 29 დეკემბერს საკუთარ ბინიდან (ავლაბარი, როზოვის ქ. № 2) წმ. მარინეს ეკლესიაში დილის 10 საათზე. დასაფლავება დღეს პეტრე პავლეს სასაფლაოზე.

## კიტა აბაშიძის

გარდაცვალების წლის თავზე, მისი სულის მოსახსენებლად, კვირას 29 დეკემბერს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც მწუხარებით აუწყებენ მისი ჭირისუფლები. წირვის დასაწყისი 10 საა. ს., პანაშვიდის—12 საა. ს. (2—2)

გულ მოკლულნი მეუღლე დომნიკა და შვილები მისა ვალიკო, ზალვა და კატო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს 30 დეკემბერს (ახალი სტილით) ქალაქ თფილისში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი პირველის მეუღლის, ხოლო მეორის მამის თფილისის მიხეილის სათავადაზნაურო სათვისტომო სკოლის მასწავლებლის და წალენჯიხის საზოგადო სკოლის დამაარსებლის

## ზაქარია გიორგის ძე არჯევანიძის

სულის მოსახსენებლად წირვა იქნება გადახდილი წმინდა ნინოს ეკლესიაზე. პანაშვიდიც იმავე ეკლესიის სასაფლაოზე მის საფლავზე. (2—2)

სავაჭრო სახლის ძმ. ძიძიგურების ნოქრები აუწყებენ ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამსახურებული და ერთგული ამხანაგი

## გიორგი გაბრიელის ძე ივანოვი

დაკრძალვა და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია კვირას, 29 დეკემბერს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე დღის 12 საათზედ.

ღრმად დამწუხრებულნი მიხეილ ხარაძე, თალიკო ხარაძისა და მათი შვილები: ალექსანდრე, პეტრე, გიგუცა, მიშა, ნინო, ელენა, ვერიკა ხარაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას ნათლიის

## გიგო ივანეს ძე დეკანოზიძის

უდროვოდ გარდაცვალებას.

ქვრივი რახილ, შვილები: ელენე, ანდრია, ვარო, ლუკა, თამარა და სოსო გულდათუთქულნი ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი ქმრის და მამის

## გიგო ივანეს ძე დეკანოზიძის

გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება ამა დეკემბრის 16, ძველი სტილით დილით, კვირას ს. ფუფში.

მწუხარებით გულ მოკლული ეკატერინე ტერ მატევოსოვისა, ოლღა და არშაკ იაროვები, სირანუშ და გრიგოლ მილილოვები, ელენე და შამირ მასკაროვები, სოფიო და ტიგრან ნარიმანოვები, სუსანა და გრიგოლ ვართანოვები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი ძმისა და ცოლის ძმის

## ალექსანდრე პეტრეს ძე არუთინოვის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა მძიმე ავათმყოფობის შემდეგ 21 დეკემბერს ქ. თფილისში, პანაშვიდი 31 დეკემბერს, დღის 11 საათზე ავლაბრის სურფ-მინასის ეკლესიაში. (2—1)

## ომის ბოლო

ომი არ დაწყებულა და უკვე მის დაბოლოვებაზე სწერენ გაზეთები. განსაკუთრებით ფაცაურობენ ამ მხრივ სომხური ორგანოები, რომელნიც თფილისში გამოდიან. „მშაკს“ [illegible] რიგი წერილები აქვს მიძღვნილი ამ [illegible]. ომი უნდა შესწყდეს და მოწვეულ იქნეს კონფერენცია: ასეთია მოკლეთ გამოთქმული დებულება ამ გაზეთის.

მაგრამ რა პირობებში უნდა შესწყდეს ომი? ისე, რომ ძალმომრეობა შერჩეს იმათ, ვინც ამ ბრძოლების ალიფური აანთო, თუ ისე, რომ ძალმომრენი აილაგმონ და უკან იქნენ გამრუნებულნი?

სამწუხაროთ „მშაკი“ ამაზე სდუმს.

სამაგიეროთ იგი სხვა წერილებში აცხადებს: ლორი, ბორჩალოს და სხვა სადაო ნაწილები ეკუთვნის სომხეთსა და კიდევ უკვირს, რომ საქართველოს მთავრობა მაზრას თავისად სთვლის.

აქედან საერთოდ ასეთი დასკვნა გამოდის, რომ სომხეთის ჯარმა, რაც მტრული შემოსევით დაიპყრო, ის მას უნდა მიეცეს, ხოლო მოლაპარაკება... ალბათ დანარჩენზე უნდა სწარმოებდეს.

მაგრამ ეს ხომ ნამდვილი გამართლებაა დაშნაკელების ავანტიურისა? ეს ხომ გამეფებაა მათი მუხანათური პოლიტიკისა? ომის დაწყებამდე, რომ იყო, იმ მდგომარეობის აღდგენაც კი არ სურს ამ გაზეთს, რომ ამით საფუძველი მიეცეს სადაო კითხვების მშვიდობიანის გზით გადაჭრას.

ჩვენ კი სწორედ ამ ნიადაგზე ვდგევართ. ლოღიკა ჩვენი ამ შემთხვევაში სწორია და მარტივი: ჩვენ საქართველოს კუთვნილებათ მიგვაჩნია ბორჩალოს მაზრა, სომხების მთავრობას—სომხეთის საკუთრებათ. მაშასადამე უნდა მოხდეს, ან მოლაპარაკება და შეთანხმება, ან მესამე პირის მოწვევა მსაჯულად, ესე იგი არბიტრაჟი.

სწამს თუ არა ეს გზა „მშაკის“ სოციალისტებს?

ჩვენ ეჭვი გვებადება ამაში. ისინი ამბობენ ბორჩალოს სადაო ნაწილი სომხეთისაა, დანარჩენებზე კი ილაპარაკეთო. ესე იგი კონფერენციამდე სწყვეტენ საკითხს. დავის გათავებამდე გამოაქვთ განაჩენი და ამავე დროს ჰგონიათ, რომ ობიექტიურ და დემოკრატიულ თვალსაზრისზე დგანან.

მაგრამ ეს ხომ იგივე დაშნაკელების პოლიტიკური პროგრამაა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დაშნაკელებმა თავის არგუმენტებს იარაღი წამოაშველეს. „მშაკის“ სოციალისტებს კი იარაღის წამოშველება არ სურთ. სამაგიეროთ თავის „სოციალისტურ“ სიბრძნის გამო ამ იარაღისთვის წინააღმდეგობის გაწევასაც ცოდვათ გვითვლიან ჩვენ. მაგრამ სად ნახული ან გაგონილა, რომ ამოწვდილ ხმალს თავის ნებით კისერი მიუშვიროს ვინმე ჭკვათამყოფელმა. ცხადია, მაშასადამე, ომის დამწყებთ ჩვენ იარაღით უნდა მივეგებოთ და მათი დამარცხებით ასეთ საშინელ ბოროტების განმეორებაზე ხელი ავაღებინოთ.

აი ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი კონფერენციის შესახებ. ჩვენ დამარცხებაზე როცა ვლაპარაკობთ, არ ვგულისხმობთ სომხის ჯარის გაჟლეტას, არც სისხლის ღვარების დაუსრულებელ დენას. ყველა ეს აუცილებელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ სომხის მთავრობამ გონიერებაზე საბოლოოთ ხელი აიღო. დამარცხებას ჩვენ ჩავთვლით, თუ სომხის ჯარი ძველ საზღვარზე დაბრუნდება და ამ რიგათ დაამტკიცებს, რომ ფაქტიურებათ აღიარებს იარაღით კითხვის გადაჭრის და ზავისა და მოლაპარაკების გზას ადგია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „მშაკი“ ამ პოზიციაზე დადგომას ვერ ბედავს. და ამიტომ მათი სიტყვა და ლაპარაკი ომის შეჩერებაზე, კონფერენციაზე, ზავზე, და სხვა ცარიელ, უშინაარსო ფრაზათ რჩება.

ისე, როგორც ფრაზათ რჩება მარქსიზმის ლექსიკონიდან ამოღებული სიტყვები „კლასთა ბრძოლის საჭიროებაზე ხომხის ერში“. დღევანდელი ომი სომხეთ-საქართველოს შორის არსებითათ იგივე კლასთა ბრძოლაა. და ესაა ბრძოლა არა ორი ერის ბურჟუაზიის, არამედ ერთი მხრით ბურჟუაზიის, რომელიც სომხურ ნაციონალიზმს ეფარება, და მეორე მხრით დემოკრატიის, რომელიც თავის რევოლიუციურ მონაპოვარით იცავს. დღემდე იყო კლასობრივი ბრძოლა ჩვენსა და დაშნაკელებ შორის, მაგრამ იგი მხოლოდ სიტყვით, წესიერ, ორგანიზაციის საშვალებით სწარმოებდა. დღეს ამ საშუალებებს დაშნაკელების თაოსნობით იარაღი წაემატა და ამ უკანასკნელმა საშუალებამ პირველი ადგილი დაიჭირა. მაშასადამე, მთელი ყურადღება აქეთ უნდა იქნეს მიქცეული. „მშაკის“ სოციალისტებმაც თუ მათ მართლა სურთ კლასობრივი ბრძოლის ყველა ფორმები აწარმოვონ და არა მარტო სიტყვიერებით დაკმაყოფილდენ, ამ ბურჟუაზიული სომხობისგან მოშვერილ იარაღსაც უნდა იარაღით წინააღუდგენ.

უამისოთ „მშაკი“ მხოლოდ ტყვეა დაშნაკელებისა, ნეიტრალობის ქურქში გახვეული და დემოკრატიული ფრაზებით შემოსილი.

## ქალაქის მომავალი არჩევნების გამო

დღევანდელი შემადგენლობა თფილისის ქალაქის საბჭოსი არჩეულია რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ გამოცემულ „საქალაქო დებულების“ თანახმად. თვით „დებულებაში“ განსაზღვრული იყო ვადა ახლად არჩეულ ქალაქის საბჭოთა უფლებებისა—1 იანვარი 1919 წლისა. მაშასადამე, თფილისის საბჭოს მოქმედების ვადაც ამ დროს თავდება. ქალაქის თვითმმართველობა უკვე შეუდგა ახალ არჩევნების სამზადისს: უკვე სდგება საარჩევნო სიები და ამ მოკლე ხანში უნდა მოველოდეთ საარჩევნო კამპანიის დაწყებას.

ამნაირათ, თბილისის საბჭოს მოქმედება სრულიად ნორმალურად თავდება მიუხედავათ იმისა, რომ დღევანდელი ქალაქის საბჭო სულ წელიწად-ნახევრის წინ იყო არჩეული, ამ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენს თავზე იმოდენა საქვეყნო საქმეებმა გადაიარა, რომ მისი შემადგენლობა დღეს უკვე ანაქრონიზმს წარმოადგენს. იმ დროს, როდესაც ამ საბჭოს ვირჩევდით, ჩვენ ვცხოვრობდით სულ სხვა პოლიტიკურ და საერთაშორისო პირობებში, ვიდრე დღეს. ჩვენთვის არ არსებობდა არავითარი მოქალაქეობის და ქვეშევრდომობის საკითხი, ჩვენ ყველანი რუსეთის ქვეშევრდომნი და მოქალაქე ვიყავით, და მაშასადამე ყველა იმას, ვინც არჩევნების დროს ქალაქ თბილისში სცხოვრობდა, არჩევნების უფლებაც ექნეოდა. მართალია, ფორმალურათ ამ უფლებებს მოკლებული იყვნენ ოსმალეთიდან მოსული ლტოლვილები, მაგრამ, რადგანაც პარტიათა და ეროვნებათა შორის ურთიერთობა იმ ზომამდე არ იყო გამწვავებული, როგორც ამას დღეს ვხედავთ, ლტოლვილთა შეტანას საარჩევნო სიებში სერიოზულათ არავინ აქცევდა ყურადღებას და თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ „დაშნაკელების“ წყალობით მრავალ ლტოლვილს მიეცა საშუალება საარჩევნო ყუთებთან მისვლისა.

ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელი ქალაქის საბჭო სამი უმთავრესი ფრაქციისაგან შესდგება; ეს ფრაქციებია—სოციალ-დემოკრატიულთა, „დაშნაკელთა“ და სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქცია. 40,000-დის ხმა, რომლებიც დღევანდელ საბჭოს არჩევნებში მიიღო სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ, ერთი-ორი ათასი ხმის გამოკლებით, მთლად ეკუთვნოდა ადგილობრივ დემოკრატიას. მომავალ არჩევნებში ეს დემოკრატია მთლიანად იქნება სიებში შეტანილი და მისი შემადგენლობა თითქმის უცვლელი დარჩება.

სოც.-დემ. ფრაქციის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილებაა მოსალოდნელი. მის დიდი ნაწილი შესდგება იმ ყოფილ ამხანაგებისაგან, რომლებიც არჩევნების დროს ს.-დემ. ორგანიზაციის სრული ნდობით სარგებლობდნენ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ფრაქციასთან ერთად მუშაობდნენ, მაგრამ დღეს უმთავრეს საკითხებში ფრაქციას დაშორდნენ, აღარ უნდათ პარტიულ დისციპლინას დაემორჩილონ და ხშირათ პარტიის მტრებს უერთებენ თავის ხმებს. მომავალ არჩევნებში სოც.-დემ. ორგანიზაცია, უეჭველია, იზრუნებს იმაზე, რომ კანდიდატთა სიაში უფრო სანდო და ერთგული პირები იყვნენ შეტანილნი.

ასე ერთგვარი არ იყო „დაშნაკცუთიუნის“ მიერ მიღებული ხმები. მათ ხმას აძლევდა 1) საგრძნობელი ნაწილი სომხის დემოკრატიისა—მუშები, ხელოსნები, წვრილი მოვაჭრენი და სხ.; 2) საშუალო და მსხვილი ბურჟუაზია; 3) სომეხი სამღვდელოება, 4) ოსმალეთიდან მოსული ლტოლვილნი, რომელთა დიდი რიცხვი უკანონოთ იყო სიაში შეტანილი.

ამ ოთხი ელემენტიდან მხოლოდ პირველი არ განიცდის მომავალ არჩევნებში დიდს ცვლილებას. რაც შეეხება დანარჩენ სამს, მათმა რიცხვმა ძალიან საგრძნობლათ უნდა იკლოს, რადგანაც ეჭვი არ არის, რომ სომხის საშუალო და მსხვილი ბურჟუაზიის და აგრეთვე სამღვდელოების მომეტებული ნაწილი, როგორც არა ქვეშევრდომნი საქართველოს რესპუბლიკისა საარჩევნო სიებში ვერ მოხვდებიან. მაშასადამე, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. მეოთხე კატეგორია, რომელიც წინა არჩევნებშიაც უკანონოთ იყო საარჩევნო სიებში შეტანილი, დღეს, რასაკვირველია, მთელი სისასტიკით იქნება ამოშლილი საარჩევნო სიებიდან, რადგან ამაზე დღეს უაღრესათ ყურადღება იქნება მიქცეული.

კიდევ უფრო მეტი ცვლილება მოხდა საბჭოს მესამე დიდი ფრაქციის—სოც.-რევოლიუციონერთა—ამომრჩევლების შემადგენლობაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამი მეოთხედი მათ კანდიდატების მიერ მიღებულ ხმებისა ეკუთვნოდა თფილისში დროებით დაბანაკებულ რუსის ჯარს. ხმების დანარჩენი მეოთხედი ეკუთვნოდა ადგილობრივ წვრილ მოხელეებს და სულ მცირე ნაწილი სხვადასხვა ერის დემოკრატიას. ამ უკანასკნელ კატეგორიასაც მომავალ არჩევნებში ჩამოშორდება ქართველ დემოკრატიის ის ნაწილი, რომელიც მომავალში რუს—სოც.-რევოლიუციონერებს კი აღარ მისცემს ხმას, არამედ იმათგან გამოცალკევებულს ქართველ სოც.-რევოლიუციონერებს.

მაშასადამე, დღევანდელი ქალაქის საბჭოს შემადგენლობა იმ მხრივ არის არა ბუნებრივი და დროს შეუფერებელი, რომ მის ორ მთავარ ფრაქციის თითქმის სამი მეოთხედი წარმომადგენელია აწ არ არსებულ ამომრჩევლებისა. ორივე ეს ფრაქცია გამომხატველია იმ მცხოვრებთა სულიერ განწყობილებისა, რომლებიც მტრულის თვალით უცქერიან საქართველოს რესპუბლიკას: „დაშნაკცუტუნი“ მატარებელია იმ მტრობისა, რომელმაც დღეს მიგვიყვანა საქართველო-სომხეთის ომამდის; სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქცია კი იმ მტრობისა, რომლის მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობა და რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში დაბრუნება.

რასაკვირველია, ამ ერთი მეორის მოწინააღმდეგე და შეურიგებელ ელემენტებისაგან შედგენილი ქალაქის საბჭოს მოქმედება ვერ იწარმოებდა ნორმალურ პირობებში, მოსისხლე მტრები, ერთს დაწესებულებაში მოთავსებულნი, ერთს საქმეს ვერ გაუძლევებიან. ეს შეურიგებლობა საბჭოს სხვადასხვა ელემენტებისა დღითი დღე უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა. და საბჭო თავის მოღვაწეობას ათავებს სწორედ იმ წამში, როდესაც მის არსებაში დაფარულ წინააღმდეგობის გამო მისი მოღვაწეობა უკვე სრულიად შეუძლებელი ხდება. ამის უტყუარი ნიშნები დავინახეთ საბჭოს უკანასკნელ სხდომებზე, როდესაც „დაშნაკელთა“ ფრაქციის სავარძლები სრულიად დაცარიელებული იყო.

## პრესა

„მშაკი“ (№ 268) სწერს:

„ძალიან დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამიერ-კავკასიის კონფერენციას პოლიტიკური თვალსაზრისით. ძირითადი საკითხთაგანიც ერთი უნდა იყოს: თანხმობის ხაზის პოვნა. აშკარაა, რომ ამიერ კავკასია, ევროპის სახელმწიფოების იმპერიალისტურ მისწრაფებების საგანი გახდა. უკანასკნელებმა ისარგებლეს ამიერ კავკასიის ერების საშინელი უძლურებით. ოსმალეთი იყო, რომ პირველად შეეცადა თანდათანობით გაევრცელებინა უზენაესი უფლება და შეექმნა ისლამის დიდი სახელმწიფო ინდოეთის ოკეანედან, ვიდრე ჩრდილო კავკასიამდე და ბოლგარეთიდან ჩინეთამდე. ოსმალეთთან ერთად ჩვენში შემოვიდა გერმანია. მისთვის საჭირო იყო მოკლე გზა სპარსეთ-ინდოეთში წასასვლელათ. ამნაირივე მისწრაფებებით გამოდიან აგრეთვე მოკავშირე სახელმწიფონი. შინაური უთანხმოება, ჩხუბები, აი ის სასარგებლო ნიადაგი, საცა იმპერიალისტები აკეთებენ თავიანთ პოლიტიკურ კომბინაციებს და უყურადღებოთ სტოვებენ ამიერ-კავკასიის ხალხების კულტურულ და პოლიტიკურ განვითარების მოთხოვნილებებს. ევროპის სახელმწიფოება კავკასიის რესპუბლიკების უთანხმოებით ოსტატურათ სარგებლობენ და დაუბრკოლებლათ ახორციელებენ თავიანთ პროგრამებს. ეს საცოდავი მდგომარეობაა ს მივე რესპუბლიკებისთვისაც. იმისთანა მდგომარეობა, რომელიც შეძლებას არ აძლევს გამორკვეულს პოლიტიკა აწარმოოს ჩვენი ერების საჭიროების დაგვარათ. აი ამ უთან-

# დღეს

**27 დეკემბერს შულავერის რაიონში ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო მტრის ორი მოქმედი ტყვიისმფრქვეველი. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.**

**ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე დამთავრდა. შმაგაილოვს და კუჩარიანცს მიესაჯა დახვრეტა. კირულიანცი გამართლებულ იქნა.**

**რუსეთის საკითხს მოკავშირენი დიდს ყურადღებას აქცევენ. მოელიან ამ საკითხის ლონდონში გარჩევას პრეზიდენტ ვილსონის მონაწილეობით.**

**ბოლშევიზმთან საბრძოლველათ ბერლინში შესდგა უპარტიო პოლიტიკური კავშირი.**

**რეინის და ლიუქსემბურგის რაიონებში რკინის გზაზე მოკავშირეებმა 8 საათის სამუშაო დროს შემოღების ნება არ დართეს.**

ხმოებას უნდა ბოლო მოუღოს კონფერენციამ.

„მან უნდა შეიმუშავოს საერთო თანხმობის ხაზი, უნდა ეცადოს გაათანასწოროს სამი რესპუბლიკის პოლიტიკური მისწრაფებანი. და შეერთებული ძალებით და ნებით გამოვიდეს გარეშე ქვეყნის წინაშე, დაიცვას ურთიერთ ინტერესები და ის პროგრამები და მისწრაფებანი, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ხალხის საჭიროების თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ჩვენ ვდგევართ მსოფლიო საზავო კონფერენციის წინაშე და ჩვენი ქვეყნის ბედი შეიძლება იქ გადაწყდეს.

„აი აქ კავკასიის სამი რესპუბლიკა უნდა გამოვიდნენ ერთი ნებით, შეთანხმებით. ამიერ-კავკასიის კონფერენცია მოვალეა გასჭრას გორდიის ეს კვანძი.

ყველა გზებს მივყევართ რომში. რომელი თვალსაზრისითაც არ უნდა მივუდგეთ საკითხს ერთს დასკვნას დავადგებით: ეს არის კავკასიის კონფერენცია.

„ჩვენი სურვილია, რომ დაუყოვნებლივ მოიწვიონ კავკასიის კონფერენცია. ჩვენი ხალხის მტრებათ ჩაითვლებიან ისინი, ვინც კონფერენციის გზაზე ქვებს გადაუგდებენ... და ბოლოს, უნდა გამოვემშვიდობოთ გარეშე ძალების იმედს და ვიფიქროთ სოლიდარულ საერთო ცხოვრებაზე, გარეშე ძალები საკმარისათ მავნებელნი გამოდგენ ჩვენთვის. არ უნდა დავბრმავდეთ ისტორიის გაკვეთილების წინაშე".

ამ წერილში გამოთქმული აზრი სახელმძღვანელო აზრი იყო ჩვენი დემოკრატიის და იგივე აზრი დაიდვა საფუძვლად კონფერენციის მოწვევის იდეასაც. მაგრამ კონფერენციის გზაზე არა თუ ქვები, არამედ თოფზარბაზნები ააშენეს და ვინ,—ეს ცხადია. იმათ, ვინც კონფერენციაზე წამოსვლის მაგივრათ, შეიარ ჯარი გამოგზავნა ბორჩალოს მაზრისაკენ.

ამიტომ წერა ეხლა იმაზე, „ვინც ქვებს დაუგდებს გზაზეო", სრულიად ზედმეტია.

უნდა ითქვას გადაჭრით: ვინ იყო წინააღმდეგი კონფერენციის და ვინ უთხრის სამარეს ამ იდეას. ჩვენ ვამბობთ: ეს იყო სომხეთის მთავრობა და დაშნაკელების პოლიტიკა, და ჩვენ მათ ვებრძვით კიდეც ამისათვის.

ჯერი თქვენზეა: სთქვით ვინ ჩაშალა კონფერენცია და სთქვით ისიც, აპირებთ მის წინააღმდეგ ბრძოლას, თუ არა? ჟამისოთ ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დაშნაშავის სააშკარაოზე გამოყვანა თქვენ არ გსურთ, ან არ შეგიძლიათ.

# ბრძოლის ველი

**(სამხედრო შტაბის ცნობა).**

**28 დეკემბერი.**

გუშინ შულავერის რაიონში შეტაკების დროს ხელთ ვიგდეთ ორი მოქმედი ტყვიისმფრქვეველი. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

# სავალდებულო დადგენილება

ქალაქ თფილისის, აგრეთვე თფილისის, გორის და თელავის მაზრების გენერალ-გუბერნატორისა. თანახმად მე 19 მუხლისა V განყოფილების წესდებულობისა, შესახებ იმ ადგილებისა, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული,—ამით ვაცხადებთ.

§ 1.

სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქენი და აგრეთვე ბორჩალოს მაზრაში მტრის ჯარებისაგან დაკავებულ ადგილებში მცხოვრებნი ჯარში გასაწვევ ასაკისანი (18 დან 45 წლამდე), რომლებიც კი სცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხადდებიან სამხედრო ტყვეებათ.

§ 2.

ზემოხსენებული ასაკის პირნი ამ დებულების გამოქვეყნებიდან ოცდა ოთხი საათის განმავლობაში იკრიბებიან ადგილობრივ კომისარიატებში, საიდან იგზავნებიან სათანადო სამხედრო მაზრის უფროსის სამმართველოში გარდასაცემათ სამხედრო უწყებისადმი, თანახმად წესებისა, რომლებიც ინიშნებიან „სამხედრო ტყვეთა დებულებაში", გამოქვეყნებულ სამხედრო უწყების ბრძანებაში რუსეთის სახელმწიფოისა 1914 წ. № 697, შერმინდელი შესწორებებით სამხედრო უწყებისადმი ბრძანებისა, 1916 წ. № 552.

§ 3.

ის პირნი, რომლებიც არ დაემორჩილებიან ამ დადგენილებებს, მიჩნეული იქნებიან მტრებათ საქართველოს რესპუბლიკისა, დატუსაღდებიან და მათ ავლა-დიდებას მოექცევიან თანახმად მიღებულ კანონმდებლობისა, საქართველოს პარლამენტისა ამა 24 დეკემბრის 1918 წ.

§ 4.

თფილისის მილიციის უფროსს, სამაზრო და სასოფლო კომისარებს ევალებათ იქონიონ ამ დებულების შესრულებაზედ ჯეროვანი ყურადღება და ყოველ ამ ვალდებულობის დამრღვევლ პირების ვინაობა დაუყონებლივ მომახსენონ მე.

გენერალ გუბერნატორი **შ. მაღლაკელიძე.**

26 დეკემბერი,

1918 წ. ქ. თფილისი.

# საქართველოს პარლამენტი

**27 დეკემბრის სხდომა.**

სხდომა იხსნება 1 ს. 25 წ. თავმჯდომარეობს ი. ბარათაშვილი. მდივანი აბაკელია ამცნობს პარლამენტს, რომ სანდრო მაისურაძის მაგიერ პარლამენტის წევრად იქნება ს.-დ. ფრაქციის შემდეგი კანდიდატი ნ. იმნაიშვილი.

**ს. ფირცხალავა** (სარედ. კომ. წ.) კითხულობს საბოლოო ტექსტებს საქართველოს რესპუბლიკის ღერბის, სამხედრო დროშის და მთავრობის შტანდარტის კანონებისა, რასაც პარლამენტი ამტკიცებს.

**რ. არსენიძე** (სარედ. კომ. თავმჯდ.) კითხულობს აბხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების დებულების კანონის საბოლოო ტექსტს. პარლამენტმა ყველა სარედაქციო შესწორებები მიიღო.

სამოქალაქო უქმე დღეების შესახებ მოხსენებას აკეთებს თ. კიკვაძე. კანონ-პროექტი პარლამენტმა მიიღო.

**დ. ონიაშვილი** (ს.-დ.) მოახსენებს პარლამენტს კანონ-პროექტს შესახებ მიწათ-მოქმ. სამინისტროს (ნაწილის) შტატების და ხარჯთაღრიცხვისა. მუხლობრივ წაკითხვის შემდეგ კანონ-პროექტი მიიღეს. ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა სამხედრო მინისტრს.

**გრ. გიორგაძე:** მოქალაქენო! რამდენადაც შესაძლებელია მოგახსენებთ იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც არსებობს ეხლა ფრონტებზე: მარჯვენა ფრონტზე, სადაც სახალხო გვარდია მოქმედებს, დაგედ-ხეჩანთან დიდი ბრძოლა იყო, რასაც შედეგად მოჰყვა მტრის განდევნა და დაგედ-ხეჩანის ჩვენ მიერ დაკავება. დაწვრილებით ამის შესახებ გვარდიის შტაბის უფროსი მოგახსენებთ. მარცხენა ფრონტზე ორი დღეა საშინელი ბრძოლა სწარმოებს. აქ ერთი ადგილი ხელიდან ხელში გადადის. ბრძოლა იმნაირად მიდის, რომ უეჭველად ჩვენდა სასარგებლოდ დამთავრდება. ჯარის და გვარდიის სულიერი განწყობილება ფრონტზე მშვენიერია. თავგანწირულად იბრძვიან და ყველა მათგანი თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს. აგრეთვე უნდა მოგახსენოთ, რომ მობილიზაცია ჯეროვნად და დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. ვისაც ჯარში გაწვევა არ ეხება, მოხალისეებად ეწერება და მიდის რაზმები ფრონტისკენ, ისე დიდია საერთო აღფრთოვანება. სახალხო გვარდიის ორგანიზაციაც ჩინებულად მიდის. რჩება მხოლოდ ისეთი ნაწილი მცხოვრებთა, რომელთაც ჯარში გაწვევა არ ეხება და არც ბრძოლა შეუძლია. მათი ვალია დაეხმარონ ფრონტს ყოველმხრივ. რასაკვირველია, მთავრობის დაწესებულებანი აკმაყოფილებენ ჯარის სამხედრო მოთხოვნილებას, მაგრამ საჭიროა კერძო ინიციატივაც ამ საქმეში. ეხლა მოქმედების დროს, ჯარს მორალური და მატერიალური დახმარება უნდა აღმოუჩინოთ. უნდა გაგზავნოთ ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. აგრეთვე საჭიროა ფრონტზე მისვლა და გამხნევება. ერთის სიტყვით, ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ უნდა იგრძნოს, რომ მათ ზურგს უმაგრებენ, მათზე ფიქრობენ. არის ერთი ზომა, რომელსაც უნდა მივმართოთ და რომელიც უნდა იკისროს პარლამენტმა და მთავრობამ: ვინც ბრძოლაში დაიღუპება, ან დასახიჩრდება, მათი ოჯახი უნდა იყვეს ნივთიერად უზრუნველყოფილი. ჩვენ ეს ეხლა უნდა დავადგინოთ დეკლარატიულად. დაწვრილებით ამის შესახებ მთავრობა შემოიტანს კანონ პროექტს.

მე შემიძლია თამამად ვსთქვა, რომ ჩვენი სახელოვანი ჯარის და სახალხო გვარდიის სულიერი განწყობილება მტკიცეა. მათ გადაწყვეტილი აქვთ გაუმკლავდენ მტერს და დაამარცხონ იგი. ჩვენი ვალია აქედან დავეხმაროთ მათ. ასეთი დახმარების რეალურ ზომად ჩაითვლება დაკანონება იმის, რაც მე აქ წამოვაყენე (ხურვალე ტაში).

სიტყვა ეძლევა გვარდიის შტაბის უფროსს, რომელიც ფრონტიდან ჩამოსულა. პარლამენტი მას ძლიერი ტაშით ხვდება.

**მ. ჯუღელი:** მოქალაქენო! მე კარგათ ვიცი, რომ მთელი თქვენი ყურადღება ფრონტისკენ არის მიქცეული და თქვენ გაინტერესებთ ბრძოლის სურათი. მე მინდა გადმოგცეთ ის შთაბეჭდილება, რომელიც მე იქ მივიღე. და ეს შთაბეჭდილება კი იმას ამბობს, რომ ჩვენ ბრძოლის ველზე უსათუოდ გავიმარჯვებთ! (ტაში) მე მინდა გადმოგცეთ ერთი ეპიზოდი—19 დეკემბრის ბრძოლა, როდესაც მრავალრიცხოვანი მტერი შემოგვერტყა ჩვენ და 2 ბატარეა კიდეც ხაიგდო, მაგრამ სადაც ჩვენ ის სასტიკათ დავამარცხეთ და ეს სახელოვანი გამარჯვება ჩვენი იმას ამბობს, რომ ჩვენ ჯარს და გვარდიას ბრძოლა შეუძლია. საქმის გარემოება შემდეგში იყო: 19 დეკემბერს ღამით მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს ბატარეებზე ეკატერინოფელდიდან. ამავე ღამეს შევიდა იქ ჩვენი ბატალიონი. ეს არ იცოდა მტერმა. მათ იერიშით ჩაიგდეს ჩვენი 2 ბატარეა, დახოცეს რა ჩვენი საუკეთესო არტილერისტები. სწორედ იმ დროს, როცა მტერი დროებით გამარჯვებას დღესასწაულობდა, ჩვენმა ბატალიონმა მიიტანა ცხარე იერიში. აქ გაიმართა საშინელი ხელჩართული ბრძოლა. ჩვენი ამხანაგები თამამად მიდიოდენ ბრძოლაში და 3 საათის ბრძოლის შემდეგ მტერი დამარცხდა და გაიქცა. თუმცა ჩვენ, სოციალისტები, წინააღმდეგი ვართ სისხლის ღვრისა, მაგრამ აქ გამოირკვა, რომ ხანდისხან საჭიროა ომში ჩავებათ, თუ ჩაგვითრიეს, რადგანაც ამ ომში ჩაბმით ჩვენ ვსპობთ ომს (ტაში). 19 დეკემბერი იმის მაჩვენებელია, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენი იქნება. აქ ჩვენ ბევრი მტრის ხელმძღვანელები ჩავიგდეთ, რომელთაც აღმოაჩნდათ სამხედრო რუქები და სხვადასხვა დოკუმენტები. ერთი დოკუმენტი ამბობს იმას, რომ 13 დეკემბ. უკვესომხეთის მთავრობას და მათ სამხედრო მინისტრს უბრძანებია, რომ წამოსულიყვნენ ჩვენსკენ იერიშებით და ედევნათ ჩვენი ჯარი მანამდე, სანამ ტყვედ არ ჩაიგდებდენ. აშკარაა, როცა ჩვენ აქ ვცდილობდით მშვიდობიანი გზით მოგვეგვარებინა და გადაგვეჭრა სადაო საკითხები, ისინი იქ დაშნაკცუტიუნის მეთაურობით, რომელიც მტერია არა თუ ქართველი ხალხისა, არამედ—სომხეთის დემოკრატიისაც, ჩვენზე იერიშზე ემზადებოდენ. ამიტომ დროებით გაიმარჯვეს და დაგვახვეწნეს. მაგრამ ომის გამოცხადებისთანავე მოხდა ჩვენი ძალების მობილიზაცია, ჩვენ დავიწყეთ ომი და გამარჯვების სასწორიც ჩვენსკენ გადმოიხარა.

მაგრამ სომხეთის მთავრობა ომის გამოცხადებას არ დასჯერდა და ის მიმართავს სასტიკ პოლიტიკას: ის აჯანყებს მშვიდობიან მცხოვრებთ და ითრევს მათ ომში. ეს კი ომიანობის დროს სასტიკად აკრძალულია. ჩვენ ვიცით, რომ თუ მშვიდობიანმა ხალხმა ომში მიიღო მონაწილეობა, ის ყოველგვარ კანონის გარეშე რჩება. მათმა მთავრობამ კი სწორედ ეს ჩაიდინა. მათ ააჯანყეს შულავერი და გამოიყვანეს შეიარაღებული ხალხი ჩვენს წინააღმდეგ. მეორე შულავერს კი გვიმზადებდნენ დაგედ-ხეჩანში. ჩვენ ეს დროზე გავიგეთ და დაგედ-ხეჩანს ალყა შემოვარტყით. სანამ იერიშზე გადავიდოდით, ჩვენ მათ გავუგზავნეთ დელეგატები მოსალაპარაკებლად. მაგრამ ჩვენ დელეგატებს მათ ტყვია დაუშინეს. ამის შემდეგ ბრძოლით მივედით, მაგრამ იქ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა. იქ იყო გაწვრთნილი რეგულიარული ნაწილები. ჩვენ ავიღეთ თხრილები, სანგრები, ჩავიგდეთ ტელეფონები და სამხედრო რუქები. თუმცა ჩვენი რაზმი უფრო მცირე იყო, ვიდრე დაგედ ხეჩანში გამაგრებულნი და იგი ბუნებრივად ძნელი ასაღებია, მაგრამ სამი დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენ ავიღეთ იგი და ხელთ ვიგდეთ ნადავლი. ჩვენ აქ დაგვეჭრა 25 კაცი, მოგვიკლეს რამდენიმე. დაჭრილები არც კი კვნესოდენ, პირიქით, ყველა მათგანი იღიმებოდა და ამბობდა, რომ ჩვენ დაინტოცებით, ოღონდ ომი, რომელიც ძალად მოგვახვიეს თავზე, გამარჯვებით დავამთავროთო (ტაში).

შულავერთან ჩვენი ახალგაზრდა ჯარი და სახალხო გვარდია—ეს ორი ძმა—მედგრად იბრძვის. ჩვენ დაკავებული გვაქვს მთავარი მაღლობი. დღეს ჯარსა და გვარდიას შორის არავითარი განსხვავება აღარ არის. ჩვენი ჯარი და გვარდია ენერგიულათ, ძმურათ იბრძვის და ჩვენ გვწამს, რომ ეს ორი ძმა საბოლოო გამარჯვებას იდღესასწაულებს (ტაში). არავინ იფიქროს, რომ ომი შესუსტდეს. პირიქით, ჩვენი საომარი ძალები უნდა გავაფართოვოთ და გავაძლიეროთ. რაღაც ხმებია გავრცელებული შერიგებაზე და სხვა მისთანებზე, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჩვენ გვსურს ნამდვილი ზავი, ჩვენ უნდა საომარი ენერგია გავაძლიეროთ (ძლიერი ტაში). პარლამენტმა და ხალხმა ერთ წუთსაც არ უნდა დაივიწყოს ის მეომრები, რომლებიც ფრონტზე იბრძვიან. თქვენ იცდებით, რომ ახალი ძალები დავგროვოთ და იქ გავგზავნოთ. თითოეულს მეომარს ფრონტზე დიდი მნიშვნელობა აქვს. სომხის რეგულიარული ჯარი ცუდ მდგომარეობაშია არ აცვია და საჭმელ სასმელიც არ აქვს. ჩვენ ჩვენი ჯარი იმაზე უკეთესს პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რომელშიაც ის ეხლაა. თუ ჯარს გარეშემო ყოველმხრივი სითბო ექნა ის სახელოვან გამარჯვებას მიანიჭებს ჩვენს ხალხს. (მქუხარე ტაში. დეპუტატები ფეხზე დგებიან და ოვაციას უმართავენ ორატორს).

**სამხედრო მინისტრი:** მე თქვენ უკვე გაგაცანით მთავრობის წინადადება, ეხლა საჭიროა პარლამენტმა დააკანონოს დეკლარატიულად, რომ ყველა მეომარის, რომელიც კი სომხეთთან ომში დაიღუპება, ოჯახობა ნივთიერათ უზრუნველყოფილი იქნება.

პარლამენტმა ერთხმათ მიიღო მთავრობის წინადადება.

# გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 28 დეკემბერი.

24 დეკემბერს ბერლინში მოხდა მეორე შეიარაღებული შეტაკება. მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდნენ მეზღვაურები, რომლებიც მოითხოვდენ ახალი მთავრობის შედგენას ლიბკნეხტ-ლედებურის მეთაურობით. მთავრობის ჯარებმა ჩააქრეს გამოსვლა, მაგრამ ბოლოს ერთგვარი შეთანხმება მოხდა. შეიძლება მთავრობაში მყოფმა დამოუკიდებლებმა იქონიეს ამ მხრივ გავლენა. მსხვერპლი ბევრია.

ბერლინის კომენდანტად დაინიშნა პორუჩიკი რიშერი, ყოფილი დომინიკელი ბერი. ეს მთავრობის დათმობა იყო მეზღვაურების წინაშე.

რამდენადაც შეიძლება ვიფიქროთ, ბალშევიკური მოძრაობა ბერლინში ძლიერდება.

პრესა მოითხოვს ბალშევიზმის წინააღმდეგ ენერგიულ ბრძოლას. „ფორვერტსი" მოითხოვს ენერგიული ზომები იქნეს მიღებული „ანარქისტული ელემენტების წინააღმდეგ, რომელსაც წარმოადგენენ მეზღვაურები".

ბერნშტეინი დამოუკიდებლებს ჩამოშორდა. სპაში მოხდა შეთანხმება დაკავებული ადგილების შესახებ. საქონლის გაცვლა-გამოცვლა უზრუნველყოფილ იქნა.

საარჩევნო კამპანია გრძელდება.

„ვარნა" წავიდა ფოთიდან. როცა ნიკოლაევში მივა, იქ ეს გემი უნდა გადაეცეს ინგლისელებს.

უკრაინაში მომხდარი ამბების გამო ნიკოლაევიდან ჯარები ხმელთა შუა ზღვით წავა გერმანიაში.

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმის გარჩევის დროს პოლ. შმაგაილოვის მიერ ნათქვამს გერმანიის დელეგაცია უარყოფს. არავითარი სურსათი გერმანიას საქართველოდან არ გაუტანია და არც საქართველოში ჰქონია დამზადებული გასატანად.

# ახალი ამბები

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმის გარჩევა გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე, დამთავრდა. სასამართლომ მიუსაჯა: ინჟინერ გ. შმაგაილოვს და მიხ. კუჩარიანცს დახვრეტა მესამე ბრალდებული—კირულიანცი გაამართლა, რომელიც სასამართლოშივე განთავისუფლებულ იქნა.

**დღეს და ხვალ ქალაქის მცხოვრებთა აღწერაა. შემდეგ შესდგება საარჩევნო სიები ახალი საბჭოს ხმოსნების ასარჩევად ამხანაგებო და მოქალაქენო! ეცადეთ არ დარჩეთ სიის გარეშე, არ დაჰკარგოთ საარჩევნო ხმა.**

◆ **სასწრაფო მატარებლები.** ინიშნება საქართველოს რკინის გზებზე 29 დეკემბრიდან. მატარებელი № 1 გავა თფილისიდან 29 დეკემბერს, № 2—გამოვა ფოთიდან—20 დეკემბერს.

◆ **გაზეთები ფრონტზე.** სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებათა ლექტორთა კრების დადგენილების თანახმათ სექციის პრეზიდიუმმა მოაწყო ფრონტზე ყოველ დღე გაზეთების მიწოდების საქმე. ქუჩებში ჩამოკიდებულია ყუთები, რომლებშიაც მოქალაქენი ჩაუშვებენ წაკითხულ გაზეთებს. ეს ცნობები დაურიგდება ფრონტზე ყველა მეომართ.

◆ **მოსწავლეთა დათხოვნა.** გუშინ თფილისის ყველა სასწავლებლებიდან დაითხოვეს მოწაფეები საშობაო უქმეების გამო.

◆ **საფინანსო კომისიაში.** გუშინ შესდგა პარლამენტის საფინანსო კომისიის კრება კრების განხილველი საგანი იყო კანონპროექტები ფინანსთა მინისტრისა: 1) ღვინოზე აქციზის გადიდების შესახებ და 2) კახეთის რკინის გზისთვის სესხად 1.512,000 მანეთის მიცემისა.

◆ **ლექცია.** დღეს, 29 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: ექ. ტურიაშვილისა „ქალთა ჰიგიენა".

◆ **„ბოტანიკა".** რედაქციამ მიიღო მ. ზაალიშვილის მიერ შედგენილი ახალი წიგნი „ბოტანიკა", მეორე გამოცემა. წიგნი სუფთა გამოცემაა, შეიცავს 198 გვერდს და ღირს 7 მ. 50 კ.

**ცნობანი.**

კვირას, 29 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, მესამე რაიონში შესდგება კოლექტივის და მცირე [illegible] კრება.

— კვირას, 29 დეკემბერს, დილის ათ საათზე სახალხო სახლში შესდგება ს. ს. დ. მ. პ. თფილისის ორგან. მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება.—მოხსენებას გააკეთებენ ამხ. რ. ჩიხლაძე და ე. გეგეჭკორი.

# სადღეისო

**არშაკ ზურაბოვი და „ერთობა".**

**საქართველოს** სოციალ-დემოკრატია არ მოსწონს არშაკ ზურაბოვს და ამიტომ მას ხშირად უწოდებს ხაზ გასმით ქართულს.

განსაკუთრებით არ მოსწონს მას ამ პარტიის ორგანო—ჩვენი გაზეთი „ერთობა". ხშირად, ლაპარაკის დროს კრებებზე, თუ წერის დროს ჟურნალ-გაზეთებში არშაკ ზურაბოვი ჩვენი გაზეთის სახელს ახსენიებს, მოჰყავს ჩვენი გაზეთიდან ადგილები იმის დასადასტურებლათ, რომ პარტია სცდება, თითონ, არშაკ ზურაბოვი და მისი კომპანია, მართალია და სხ.

უკანასკნელად მან ჩვენი გაზეთიდან რაღაც ადგილიც კი მოიყვანა ლორის შესახებ და დასძინა—ამის შემდეგ განა შეიძლება იმის თქმა, რომ ქართული სოციალდემოკრატია არ სცდებაო?!..

ჩვენ ვიცით, რომ ქართულის წაკითხვა—გაგება არშაკ ზურაბოვს არ შეუძლია. ციტატები ჩვენი გაზეთიდან, მესამე პირის ნათქვამიდან თუ ნაწერიდან მოჰყავს.

და ეს მესამე პირი კი, უნდა ითქვას, არ უნდა იყოს კეთილად განწყობილი არც „ერთობასთან", არც არშაკ ზურაბოვის მიერ ყბად-აღებულ „ქართულ" სოციალდემოკრატიასთან.

საქმე ასე იყო: საქართველოს სოციალდემოკრატიულ ყრილობაზე არშაკ ზურაბოვი ამბობდა: თქვენ, ე. ი. „ქართული" სოციალდემოკრატია, ნაციონალ-დემოკრატების ტყვეობაში ხართო.

უნდა აღინიშნოს არშაკ ზურაბოვის სასახელოდ, რომ ის ამხანაგებს არ სტოვებს უყურადღებოთ—ჰზრუნავს ტყვედ ჩავარდნილთა განსათავისუფლებლად.

მაშინ, ვგონებ, ნოე რამიშვილმა გასცა პასუხი და უთხრა: ვერ გაგვიგია, რაში გამოიხატება ჩვენი ტყვეობა. ნაციონალ დემოკრატები მემამულეთა ინტერესებს იცავდნენ, იბრძოდნენ იმისთვის, რომ გლეხობას მემამულეებისთვის მიწები არ ჩამოერთმია. ჩვენ გლეხობასთან ერთად ეს ბრძოლა მოვიგეთ—მიწები ჩამოვართვით მემამულეებს, ნაციონალ-დემოკრატები დავამარცხეთ და თუ ახლა ჩვენს შორის ბრძოლა არ არის, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ მათი ტყვეები, არამედ ისინი არიან ჩვენი ტყვეები, რატომ ამას ვერ ხედავს არშაკ ზურაბოვიო.

არშაკ ზურაბოვი შებრუნდა და სთქვა: ოსმალეთთან საიდუმლო ხელშეკრულობის დადებაში „ერთობა" ქართველ ნაციონალდემოკრატებს შეეცილა, როგორ უნდა აგვიხსნათ „ერთობის" წერილი ამ საგანზე ასეთი სათაურით—„ჩვენც ვხნავდითო".

ეგ სიცრუეა, ასეთი „ერთობა"-ს არაფერი დაუწერიაო—მიაძახეს ორატორს.

ამის შემდეგ არშაკ ზურაბოვი ჩაჯდა, მაგრამ აზრები ალბათ, იგივე დარჩა თავში, რაც ჰქონდა.

სად ამოიკითხა მან ასეთი აზრები? „ერთობა"-ში? არა!

მაშ სად? „კავკაზსკოე სლოვო"-ში!

როცა „კლდეში" ნესტორ მაღალაშვილმა იმ მოლაპარაკების ისტორია დაწერა, რომელსაც 1914 წელს, ომის დაწყებისას, ერთი ჯგუფი აწარმოებდა ოსმალეთის მთავრობასთან, რუსული შრიფტით სომხური აზრების მატარებელმა „კავკაზსკოე სლოვო"-მ ეს ცნობა გადაბეჭდა და ჩვეულებრივის პროვოკატორულის მიზნით სათაურად გაუკეთა „ქართველების ხელშეკრულობა ოსმალეთის მთავრობასთან". „ერთობამ" აღნიშნა „კავკაზსკოე სლოვო"-ს პროვოკაცია, ნ. მაღალაშვილის და კომპ. ავანტიურა და ამის შესაფერის წერილს სათაურად უწოდა—„ჩვენც ვხნავდით" ო.

ამ წერილის შინაარსი შეიცავდა შეკითხვას და ერთგვარ დაცინვასაც ნ. მაღალაშვილისა და კომპანიისადმი — მართლა ხნავდით, მართლა ანთავისუფლებდით სამშობლოსო?!

„კავკაზსკოე სლოვომ" ახალი პროვოკაცია მოაწყო იმ სახით, რომ გადაბეჭდა რა „ერთობიდან" ხსენებული წერილი, არშაკ ზურაბოვს თავში ის აზრი ჩაუნერგა, თითქოს „ერთობა" იმას ამბობდა—ნაციონალ დემოკრატები კი არ ხნავდენ, არამედ—ჩვენ, სოციალდემოკრატები „ვხნავდით"... ოსმალეთშიო.

ხოლო ჩვენ რომ მაღალაშვილის წერილებს მთელი ფელეტონები ვუძღვენით „ერთობაში" და სასტიკათ დავგმეთ მათი ნამოქმედარი, ეს არშაკ ზურაბოვმა არ იცის. მას მტრებმა ეს არგადაუთარგმნეს.

და ამრიგათ მახინჯი, უკუღმართი აზრი შეითვისა არშაკ ზურაბოვმა ჩვენი მოსისხლე

მტრების შთაგონებით და მტრის საბუთებით, როგორც მოყვარემ, ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრა, გასასწორებლად, სწორე გზაზე გამოსაყვანად.

მას არ გაეგება ჩვენ რას ვწერთ და მაინც „გასწორებას“ გვპირებს, ამიტომ ვარდება ის სასაცილო მდგომარეობაში.

კიდევ მეტი: ის იმ მტრის საქმეს აკეთებს, რომელსაც დაშნაკცუთიუნი ეწოდება და რომელთანაც მბრძოლა მას თურმე სწყურია.

გ. მ.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

28 დეკემბერი.

**გერმანული პრესის ცნობები.**

მთავრობის ჯარისა და სახალხო საზღვაო დივიზიის შორის ბრძოლის დასრულების შემდეგ შობის დღესასწაულმა ბერლინში წყნარათ ჩაიარა.

მოკავშირეთა რკინის გზის კომისიამ ბრძანება გასცა, რომ მის გადაწყვეტილების გარეშე არავითარი ცვლილება არ უნდა მოხდეს რეინის და ლიუქსენბურგის რაიონების რკინის გზის მოსამსახურეთა მუშაობაში. ეს განკარგულება გამოწვეულია რკინის გზის უწყებაში 8 საათის სამუშაო დღის შემოღებით. დროებითი ზავის გერმანიის კომისიამ სპაში პროტესტი განაცხადა და ასეთი განკარგულების გამო, რომელიც ეწინააღმდეგება დროებითი ზავის პირობებს.

ბალშევიზმთან საბრძოლველათ ბერლინში შესდგა უპარტიო პოლიტიკური კავშირი, რომელიც თავის მთავარ მიზნათ ისახავს ყოველგვარ ტერორთან ბრძოლას.

სანდო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სახალხო კომისართა საბჭოს ჯერ არავითარი სავალდებულო დადგენილება არ მიუღია მაღაროების და სხვა სამრეწველოების მოსალოდნელ სოციალიზაციის შესახებ.

„ნოი-ე ნერ ტაგებლატ“ ის პარიზის კორესპონდენტს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ შეთანხმების სახელმწიფოებს განზრახვა აქვს ყოფილი გერმანიის ახალშენი ტოგოჩეხელებს გადასცეს.

**ინგლისური პრესის ცნობები**

რეიტერის სააგენტოს სარწმუნო წყაროებიდან იუწყებენ, რომ რუსეთის საკითხს მოკავშირენი დიდ ყურადღებას აქცევენ. მაგრამ არავითარ ზომას არ მიიღებენ, სანამ პრეზიდენტი ვილსონი არ განიხილავს ამ საკითხს. ნათელია, რომ რუსეთის პრობლემების გადაწყვეტა საჭიროა და გადადება შეუძლებელია, რომ ეს საკითხი ლონდონში გაირჩეს პრეზიდენტ ვილსონის თანადასწრებით, რათა დაჩქარებით გამოირკვეს მდგომარეობა.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** 26 დეკემბერი. ჩრდილოეთის ფრონტი. რეველის მიმართულებით, ტაპსის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა დაიჭირა სადგური პიესარი. აღმოსავლეთის ფრონტი. ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს. მდინარე დემთან ბრძოლით დავიჭირეთ სოფელი ტეტრევკა და სოფიისკი. ბუგულმა-უფის რკინის გზასთან სადგურ ჩიშმასთან ფერმა დავიჭირეთ. ჩრდილოეთით დემიტრიევკა და ტუმერთვა დავიჭირეთ. ბირის რაიონში მდინარე ბელასთან პეჩეპენკონო დავიჭირეთ. სარაპულის რაიონში, სადგურ ჩერნუშკინთან და მარაპულ კრასნოუფიმის რკინის გზის ხაზზე, მოწინააღმდეგემ შემოგვიტია, მაგრამ უკუვაგდეთ. პერმის რაიონში, პერმის დასავლეთით; ჩვენი ჯარი იძულებული შეიქნა ახალი პოზიცია დაეჭირა.

# პარლამენტის გარშემო

**დამოუკიდებელ ნაც.-დემოკრატების შეკითხვა.**

„საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს. გთხოვთ მოახსენოთ პარლამენტს შემდეგი შეკითხვა (შესახებ სომხეთის ელჩის ბ-ნ ჯამალიანის მოქმედებისა): იცის თუ არა მთავრობამ, რომ სომხეთის მიერ ომის გამოცხადების შემდეგ დღემდის სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ბ-ნი ჯამალიანი, წინააღმდეგ ყოველგვარი სამართლისა, საქართველოს დედაქალაქში იმყოფება და აქტიურად მუშაობს საქართველოს დიპლომატიურ, პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესების წინააღმდეგ ჩვენი ჯარის ზურგში? და თუ იცის ეს მთავრობამ, რა ზომებს იღებს იგი?

# ძევის ხიდის აფეთქების საქმე

მეექვსე დღე, 26 დეკემბერი.

სამოქალაქო მომჩივანი **დემიდოვი.**

ჩვენ უნდა შევჩერდეთ ორ საკითხზე: ვინ არის დამნაშავე და როგორი ზარალი მიაყენა დამნაშავემ საქართველოს რესპუბლიკის ხაზინას. პირველ საკითხზე, მე მგონია, ლაპარაკიც აღარ იქნებოდა საჭირო, რადგანაც დამნაშავენი უკვე ხელთ არიან. ყოველ შემთხვევაში, ლაპარაკი უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულზე, აქ კი კითხვა სულ სხვა სფეროში გადიტანა შმაგაილოვის დამცველმა ზელენსკიმ. სახელდობრ, მან საკითხი დააყენა საერთაშორისო უფლებრივ სფეროში. საერთაშორისო უფლებაში არის სისხლის სამართლის განყოფილება. ამ განყოფილებას სარჩულად უდევს ტერიტორიალური პრინციპი. ე. ი. დამნაშავე უნდა გასამართლებულ იქნას იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ჩაიდინს დანაშაულს. ამ პრინციპის დამცველია პროფესორი მარტენსი. ეს პრინციპი საუკეთესოდ დაცულია ინგლის, ამერიკა-საფრანგეთში. განსაკუთრებული შენიშვნა აქვს მხოლოდ შემდეგ დანაშაულს: ორცოლიანობა, წინასწარ განზრახვით ჩადენილი მკვლელობა. აი სწორედ ტერიტორიალური პრინციპი არ იხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე სარგებლობს ექსტერიტორიალური უფლებით. ასეთი არიან უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები,—საელჩოები. შეიძლება მითხრათ: ეს ყველაფერი მშვიდობიანობის დროს არის, ხოლო ომიანობის დროს სულ სხვანაირი კანონებით ისჯება დანაშაულიო. საერთაშორისო ნეიტრალიტეტის დროს ხელმძღვანელობენ სამი პრინციპით: ტერიტორიალური, პერსონალური და სავაჭრო-ეკონომიური. უწყობს თუ არა ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს ომის დროს თავის ტერიტორიის სარგებლობით ხელს, უწყობენ თუ არა კერძო პირნი ერთი სახელმწიფოსი მეორე სახელმწიფოს ხელს ომის წარმოებაში და მესამე ვაჭრობას აწარმოებს თუ არა მეომარ სახელმწიფოთა. პირველი ორი პრინციპი ნიშნავს ნეიტრალიტეტის დარღვევას, ხოლო მესამე—სავაჭრო ეკონომიური პრინციპის გამოყენება საერთაშორისო ნორმების მიხედვით არ არის ნეიტრალიტეტის დარღვევა. ვაჭრობა და ეკონომიური ურთიერთობა ნებადართულია, გარდა სამხედრო კონტრაბანდით ვაჭრობისა. სამხედრო კონტრაბანდას უძახიან ისეთ საქონლებს, რომელნიც პირდაპირ იმ ხანათ შეიძლება გამოიყენოს მეომარმა სახელმწიფომ ომის საჭიროებისათვის.

არის თუ არა დამტკიცებული, რომ საქართველო საომარ მდგომარეობაში იყო, რომ მოკავშირეებთან ის ნეიტრალიტეტს არ იცავდა. ეს არ არის დამტკიცებული და ამიტომ აქ შეუძლებელია ომიანობის უფლების მიხედვით ვიმსჯელოთ. აქედან კი ნათელია, რომ ეს საქმე, რომელიც აქ ირჩევა, არ არის გადასატანი საერთაშორისო სასამართლოში, არამედ ის ეკუთვნის განსაზღვრულ სახელმწიფოს სასამართლოს და მან უნდა გაარჩიოს

ეხლა ზარალზე. აქ დამცველი ლაპარაკობდა, რომ შმაგაილოვის მოქმედება გერმანიის წინააღმდეგ იყო მიღებული და არა საქართველოსიო. ეს მართალი არ არის. მომჩივანი ციფრებით ხელში ამტკიცებს, რომ ძევის ხიდის აფეთქებამ საქართველოს რესპუბლიკის ხაზინას აზარალა 1 066,608 მან. ეს ზარალი უნდა უზღოს ხაზინას შმაგაილოვმა და კუჩარიანცმა.

მეშვიდე დღე, 27 დეკემბერი.

სხდომას დიდძალი გარეშე საზოგადოება ესწრება. ბევრი უბილეთოდაც იჭრება დარბაზში. ყველა დაინტერესებულია იმ საბუთებით, რომელსაც მოიყვანენ დამცველები და იმ განაჩენით, რომელიც უნდა გამოიტანოს სასამართლომ.

შმაგაილოვის დამცველი ერთ საათს ლაპარაკობს. არც ერთი ახალი საბუთი მას არ მოუყვანია ბრალდებულის გასამართლებლად. მან მხოლოდ მჭერმეტყველურად გაიმეორა და უფრო ლოღიკურად დაასურათა ის, რაც შმაგაილოვმა სთქვა თავის სიტყვაში.

კუჩარიანცის დამცველ პოპოვიანცმა 1 ს. 20 წუთს ილაპარაკა, მაგრამ სამოქალაქო მომჩივნების მიერ დამსწრეებზე მოხდენილი შთაბეჭდილება ვერ გაანელა, სუსტი საბუთები მოიყვანა.

შმაგაილოვის დამცველი **ზელენსკი** ამბობს: საბრალმდებლო სკამზე დასმულია არა მარტო შმაგაილოვი და მისი იდეა, არამედ—მთელი რუსეთის იდეა, კულტურა და სინამდვილე. ვწუხვარ, რომ მე, ტომით რუსს, მიხდება ამ იდეის დაცვა. აქ დამსწრე საზოგადოება თითეულ ჩემს სიტყვას იტყვის, თვალით უყურებს და ამიტომ, თქვენ მოსამართლენო, გთხოვთ ჩემი სიტყვა მიიღოთ ისე, როგორც არის. დამცველი ბევრს ლაპარაკობს რუსეთის დანგრევაზე, ბალშევიზმის მიერ განადგურებაზე და ამბობს: თქვენთვის, ბატონებო, ბალშევიკური რუსეთი ცუდი სანახაობაა, ჩვენთვის კი კულტურის დამღუპველია არ შეეძლო იდეიური კაცი არ აღშფოთებულიყო ასეთი მდგომარეობით და არ დაბადებულიყო მის გულში სიძულვილი იმ იმპერიალისტურ გერმანიისადმი, რომელმაც რუსეთის დანგრევას ყოველნაირად ხელი შეუწყო. გერმანიის კაპიტალის განვითარებამ შვა რუსეთის დამონავების, დამცირების იდეა. იფეთქა ომმა და ყველამ ვიცით შედეგი: გერმანიამ რუსეთი გაანადგურა. როგორ შეიძლებოდა რუს პატრიოტს ამ მდგომარეობიდან გამოსავალი არ ეძებნა? აი, შმაგაილოვი ერთადერთ გამოსავალ გზას ხედავდა მოკავშირეთა გერმანიაზე გამარჯვებაში. ამ უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ, თუ რომელიმე რუს მოქალაქეში პატრიოტიზმი აღმოაჩინეს, ეს დანაშაულად ჩაეთვლება მას. ჩვენ გვიყვარს და ვეტრფით რუსეთს, მაგრამ ჩვენ არ მივისწრაფით რუსეთის 1914 წ. საზღვრებში აღდგენისაკენ. ჩვენ გვიყვარს რუსეთი კულტურული, რუსეთი გოგოლის, პუშკინის, დოსტოევსკის. არაფრით არ არის დასაბუთებული ის ბრალდება, რომ რუსი პატრიოტები განაპირა ქვეყნებიდან ცდილობენ რუსეთის აღდგენას. რომელი რუსი პატრიოტი წავა კახეთში, იმერეთში, ან თუ გინდ სხვა რომელიმე განაპირა კუთხეში და იქიდან დაიწყებს რუსეთის აღდგენის საქმის კეთებას? მე მგონი—არავინ. განაპირა ქვეყნების ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ციმბირს, დონს, და ნაწილათ უკრაინას. ყველა ამ მომენტებით ხელმძღვანელობდა შმაგაილოვი თავის მოქმედების დროს. ის ჭეშმარიტი რუსი პატრიოტია. აქ მას შეეკითხნენ, რომელ ეროვნების იყო შენი ამხანაგებიო. მას, როგორც ჩამოსულ რუსს, არ შეეძლო ერთი მეორისაგან გაერჩია სომეხი და ქართველი.

რათ მოვიდა ის კავკასიაში. ვინ იცის, დღევანდელი მდგომარეობა სად გადასტყორცნის ამა თუ იმ პიროვნებას?

შემდეგ დამცველი აღნიშნავს, რომ ბრალდებული შმაგაილოვი მოქმედებდა ინგლისის მისიის მიერ მიცემულ ინსტრუქციებით და ამტკიცებს, რომ ის არ უნდა იქნას დასჯილიო.

კუჩარიანცის დამცველი **პოპოვიანცი.** მთავარი საკითხია: კუჩარიანცმა ძევის ხიდის აფეთქებაში იღებდა თუ არა მონაწილეობას. არც ერთი მოწმე არ ყოფილა აფეთქების მნახველი და არც ერთს არ უთქვამს, რომ კუჩარიანცმა მიიღო მონაწილეობაო. არ შეიძლება სასამართლო დაეყრდნოს იმას, თუ რატომ, რისთვის ნახეს კუჩარიანცი შმაგაილოვთან, ან რათ იყო ის დაშნაკცუთუნის პარტიის წევრი. აქ ბრალმდებლები და სამოქალაქო მოჩივნები აკეთებდნენ თავიანთ დასკვნებს მხოლოდ იმ გარემოებიდან, რომ რადგანაც კუჩარიანცი შმაგაილოვთან ნახეს, ის მილიციონერებს არ დანებდა და სროლა აუტეხა, რადგანაც მას ხიზილალა, რულეტკა და ლუქი უნახეს ის დამნაშავეა და უნდა დაისაჯოსო. ამ საბუთებით არაფერი არ მტკიცდება. აქ მოწმე სიმონიანცმა დაამტკიცა, რომ კუჩარიანცს ისეთი სამსახური ჰქონდა, რომ ესაჭიროებოდა ლუქი, რულეტკა და ყველაფერი ის, რაც აღმოაჩნდაო. რაც შეეხება ხიზილალას, მას შეეძლო ხიზილალაში 25 მან. მიეცა, რადგანაც დღეს 25 მანეთი არც ისეთი დიდი თანხაა. კუჩარიანცს აბრალებენ იმას, რომ რათ ზრუნავდა შმაგაილოვისთვის, თუ ორივენი ერთ და იმავე საქმეში არ იყვნენ დამნაშავენიო. კუჩარიანცი არის უბრალო განუვითარებელი გლეხი და თქვენ ადვილათ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ იზრუნავდა თუ არა ის იმ ადამიანისათვის, რომელიც მას ტყეში შეხვდა გზადაკარგული. აქ დიდ ყურადღებას აქცევენ დაშნაკელების პარტიას. მე ამ პარტიის მოწინააღმდეგე ვარ. დაუშვათ, რომ მართლა ამ პარტიამ მოაწყო ეს საქმე. ნუ თუ ძნელი წარმოსადგენია ის, რომ ამ შემთხვევაში დაშნაკცუთუნის ყველა წევრებს ეს არ ეცოდინებოდა. რასაკვირველია, ეს არ ეცოდინებოდა უბრალო პარტიის წევრს კუჩარიანცს. აქ ქავთარაძემ სთქვა, რომ კუჩარიანცი წინეთაც იყო პოლიტიკური საქმისათვის გასამართლებულიო. მართალია, მას აბრალებდნენ ერთ-ერთი სოციალისტური გაზეთის რედაქტორობას და ის გაამართლეს. ცხადია, ამ განუვითარებელ სლესარს არ შეეძლო რედაქტორი ყოფილიყო. მე ვსთხოვ მოსამართლეებს თავი დაანებონ ამა თუ იმ ლოღიკურ დასკვნებს, შესაძლებლობას და პირდაპირ ფაქტები განიხილონ. მას მისდევდნენ და ის არ ნებდებოდა. ეს იმიტომ, რომ მას უყვიროდნენ დააგდე მაუზერიო. მას ეგონა მაუზერსართმევდნენ და რადგანაც იმ მაუზერთან შეზრდილი იყო არ ანებებდა არავის. მე ვამტკიცებ, რომ ის დამნაშავე არ არის და მოსამართლეების წინაშე ვშუამდგომლობ ის გამართლებულ იქნას.

ამ. „ერთობის“ რედაქცია და კანტორა
## გადავიდა ახალ ბინაზე
გოლოვინის პროსპ. სახლი არაფელოვისა, № 24, შუა სართული.

# მოწოდება

**საქართველოს რესპუბლიკის წითელ ჯვართან არსებულ ქალთა კომიტეტისა.**

ახლა, როდესაც მთელი ჩვენი ფიქრი ფრონტისკენაა მიმართული, როდესაც მთელი ჩვენი გრძნობა ეკუთვნის რესპუბლიკის მხედრობას, რომელიც თავის სისხლს ჰღვრის ჩვენი ქვეყნისა და თავისუფლებისათვის, ამისთანა დროს თითქო არ შეგვფერის მოგმართოთ სხვა სიტყვებით, გარდა იმისა, რომ საჭიროა შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა მხოლოდ ჩვენი სამშობლოს დამცველების წინაშე. მაგრამ ჩვენ მაინც, როდესაც იღვრება სისხლი ჩვენი ქვეყნის ძვირფასი შვილებისა, როდესაც ჩვენ ქვეყანას ისევ მოელის ხაშინელი საფრთხე, ვბედავთ მოგაგონოთ ეს ახლო განვლილი ომის მსხვერპლი, რომლის დახმარება მოვალეობაა ყველასი, ვისაც უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ერი.

ჯავახელ ლტოლვილთა უმწეო, პაწია ბავშვები, რომელთა დედ-მამა დაიღუპნენ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში, ოსმალთა შემოსევის დროს შეიკედლა საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებამ, მზრუნველობა და მოვლა-პატრონობა იმათი იკისრა ქალთა კომიტეტმა, რომელიც არსებობს წითელ ჯვართან და ამ ბავშვებისათვის გახსნა თავშესაფარი თფილისში.

ეს ბავშვები ტიტველნი, მშიერნი, ტანჯულნი და მოქანცულნი არიან იმ აუტანელი მდგომარეობით, რომელიც იმათ ხვდათ წილად და რომელთაც განიცადეს.

ეს ბავშვები ტიტვლები მოაგროვეს ტყეებში, სადაც ისინი იკვებებოდნენ პანტითა და ბალახებით, მოაგროვეს შარა გზებზე, სადაც ისინი მოქანცულნი ეცემოდნენ თავის დახოცილ მშობელთა და მახლობელთა გვერდით. იყო შემთხვევა, რომ პაწია ძუძუ-მწოვარა ბავშვს აგლეჯდენ მკერდიდან მკვდარ დედას, როცა ბავშვი მის ძუძუს სწოვდა. და აი ახლა ეს ტანჯული, გაძვალტყავებული, დასნეულებული, ზნეობრივად და ფიზიკურად განაწამები ბავშვები მოვიყვანეთ აქ და ვიკისრეთ იმათი აღზრდა.

მაგრამ ჩვენ არ გვაქვს იმდენი საშუალება და ძალ-ღონე, რომ დავაკმაყოფილოთ ამ საბრალო ბავშვების ყოველნაირი საჭიროება, და როცა დაისვენებენ, გაჯან აღდებიან და გამოერკვევიან იმ საშინელებისაგან, რაც იმათ გამოსცადეს, აღიზარდნენ ისე, როგორც შეჰფერის საქართველოს მოქალაქეთ.

ბევრი ბავშვი ავათ არის, ბევრი სულ პაწაწინაა და საზოგადოების დაუხმარებლად და ყველაზე უფრო თქვენი, ქალების დაუხმარებლათ, ვერ შევსძლებთ მოვახადოთ ჩვენი ვალი ტანჯული ბავშვების წინაშე.

ქალებო, თქვენ დედებო, დებო, თქვენ გყავთ ძვირფასი, საყვარელი ბავშვები, იფიქრეთ იმ პაწიებზედაც, რომელთაც დაჰკარგეს ყველა, ვინც საყვარელი და ძვირფასი იყო მათთვის, გადაიტანეს ამდენი უძლურება, მოიგონეთ, რომ იმათი დედ-მამა დაიხოცნენ სწორედ იმ დროს, როდესაც ულმობელი მტერი შემოესია ჩვენს ქვეყანას; მოიგონეთ, რომ დახმარება იმათი, ვინც მსხვერპლი გახდა იმ უბედურებისა, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს სამშობლოს,—მოვალეობაა ყოველი პატიოსანი მოქალაქისა. ჩვენ ისე უნდა მოვახერხოთ, რომ, როცა ეს ბავშვები გაიზრდებიან, შეეძლოთ სთქვან: ჩვენ დავკარგეთ დიდები, მაგრამ სამშობლომ არ დაგვივიწყა ჩვენ, სამშობლომ გადაგვიკრა წყლული გული, შეგვიშრო ცრემლები, შეგვიკედლა და მოგვიალერსა ჩვენ, და ამ სამშობლოს შევწირავთ ჩვენს ძალ-ღონეს.

დედებო, დებო, ეს შეიძლება მხოლოდ თქვენის დახმარებით და თქვენც დაეხმარეთ პაწია ბავშვებს, მძვინვარე მტერის შემოსევის მსხვერპლებს.

შემოსწირეთ იმათ ნივთები, ფული, ხილი, საჭმელი, ტანისამოსი, წიგნები, რვეულები, სათამაშოები, პირადი შრომა და სხვადასხვა; თვითეული კაპეიკი გამოადგება ბავშვს, თვითეული ტანსაცმელი გაათბობს ბავშვს, თვითეული ვაშლი, თვითეული სათამაშო გაახარებს ბავშვის პაწია გულს, რომელიც ახლა დაჩაგრულია მწუხარებით და დავიწყებული აქვს სიხარული.

**შემოწირულება მიიღება:**

1) საქართველოს რესპუბლიკის წითელ ჯვრის გამგეობის კანცელარიაში; ოლღას ქუჩა, სამების ინსტიტუტი.

2) თვით ბავშვთა თავშესაფარში, მამა დავითის მიდამოში, გამრეკელის სახლი.

3) „ნაკადულის“ რედაქცია, გოლოვინის პროსპექტის და მამა დავითის ქუჩის კუთხე, შესასვლელი მამა დავითის ქუჩიდან, № 2.

4) ნატალია მიხეილის ასული მუსხელიშვილისა, კოროლენკოს ქუჩა, № 2.

# ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი

ყველასათვის ცხადია ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს სახელმწიფოსათვის ფოსტას, ტელეგრაფს და ტელეფონს. ეს მნიშვნელობა ერთი ათად იზრდება ომიანობის დროს. ცხადია, სახელმწიფო, რომელიც ვერ შესძლებს აღნიშნულ დაწესებულებების სასურველ დონემდე აყვანას, ომს ვერ აწარმოებს. ამ მხრით ჩვენი რესპუბლიკა უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს. მას გააჩნია საკმაოდ მდიდარი ყოველგვარი საჭირო მასალით ტელეგრაფი, ფოსტა, ტელეფონი, და ეგრედ წოდებული „სვიაზი“, რომელსაც ტელეგრაფის ხაზი გაჰყავს. მაგრამ არ კმარა მარტო დაწესებულება. მასთან ერთად ჩვენთვის საჭიროა საიმედო და საქმის მცოდნე შტატი. საკმარისია ერთი მტრის აგენტი გაერიოს ამ დაწესებულებაში, რომ მთელი საიდუმლოებანი „დანიშნულებისამებრ“ გადასცეს. ტელეგრაფის ან და ტელეფონის აპარატი ისეთი სათუთი საგანია რომ, საკმარისია ერთი მარჯვალის მოტრიალებით მუშაობა რამოდენიმე საათით მაინც შეაჩეროთ. „სვიაზზე“ ხომ ლაპარაკიც მეტია. ის მავთულები, რომელიც ჩვენ სხვადასხვა სადგურებთან გვაერთებს, შეუძლია „ბოროტ ადამიანს“ ერთი ქვის მოქნევით გასწყვიტოს, მაგრამ „ბოროტსავე“ ზედამხედველს, ხაზის გასასწორებლად გაგზავნილს, საშუალება მოეპოვება მოქმედება რამოდენიმე დღეს არ აღადგინოს. ძველად, ომის დროს, ყოველგვარი დეპეშები, რაც კი შეეხებოდა ფრონტს და ჯარას, როგორც გადაჯგუფებას, ისე სულიერ განწყობილებას, შიფრით გადაიცემოდა; ასე რომ, მოხელემ არც კი იცოდა რას გადასცემდა და ან რას ღებულობდა. ეხლა კი, ყოველგვარ ცნობებს რუსულად შედგენილ დეპეშებით იძლევიან ყველასთვის გასაგებ ენაზე (ქართულად მაინც დასწერონ). ტელეფონით ხომ ყველა სამხედრო პირნი და თვით მთავრობაც სარგებლობს და ისიც უნდა ვაცოდეთ, რომ შეიძლება თქვენ ცოტა ხანს „ზანიატით“ შეგაჩერონ, და შემდეგ კი მეორე მსმენელი გაგიჩნდეთ, თვით ტელეფონის მოხელის სახით.

ვიმეორებთ, რომ ჩვენს რესპუბლიკას დაწესებულებანი აქვს, მაგრამ ის საშიშროებანი, რომელიც შეუძლია ამა თუ იმ არა საიმედო მოხელეს მიაყენოს საერთო საქმეს, თავიდან აცილებული არ არის.

აღნიშნულ დაწესებულებებში მოიპოვებიან არა საიმედო პირები და მტრებიც. აქ კიდევ ბუდობენ დაშნაკცუტიუნის მომხრენი, აქ კიდევ „ჩინოვნიკობის“ ნაწილი, რომელთაც ვერ ეღირსად ჩრდილოეთიდან საქართველოს მომსპობი ძალა, და ეხლა, მათის აზრით, ეს ძალა სამხრეთიდან მოდის.

ამას შეიძლება ვერ ხედავდეს გარეშე მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ერთგული მოსამსახურენი პირდაპირ აღშფოთებულნი არიან. კავშირმა კიდევაც დაადგინა არა საიმედო პირთა თავიდან მოცილება, მაგრამ დღემდის ეს არ გატარებულა.

ჯერ კიდევ იმედი არ დაგვკარგია, რომ მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ მოვლენას და საჭირო ზომებს მიიღებს.

მარკ.

# ჩვენი ჯარისთვის

ძმებმა ხეილანოვებმა შესწირეს მეომართა დამხმარე კომიტეტს 50,000 ცალი პაპიროსი. აქციზის გადასახადაც თვითონვე იკისრეს.

---

მეღვინეთა საზ. „კახეთიამ“ შემოსწირა 1000 ბოთლი ღვინო; „კავშირთა კავშირმა“ 7 ვედრო, „ძმობამ“ 50 ბოთლი ღვინო.

---

ფულათ შემოსწირეს: ჭავჭავაძე დიმიტრი 50 მ., კაცაძე დავით 50 მ. ქურქაძე აკაკი 25 მ., ტოპოლიტი მატფეი 25 მ., ასოევი პალიასტ 10 მ., კარაგიოზოვ ალექსი 10 მ., გრომიევი პანიოტი 10 მ., გარიბოვს ნიკოლოზი 10 მ., ნერსესიანცი არმენაკი 25 მ., გეურჩჩ ოღლი აბრამ 25 მან., კარავან-ოღლი ოვანესი 50 მან., კარაგიოზოვ ალექსი 10 მან, გიურცელიძის ალექსი 10 მან., მარტასოვი ხარლამპი 15 მან.

# მასწავლებელთა კავშირის დელეგატების ყრილობა

(აღმოსავლეთ საქართ. (თფ. გუბ.) მასწ. კავშირის ფილიალ განყოფ. საყურადღებოდ).

1919 წ., 5 იანვარს (ახალი სტილით), კვირას, დილის 11 საათზე, თფილისში დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირის ფილიალ განყოფილებათა დელეგატების ყრილობა. ფილიალთ განყოფილებები გზავნიან ყრილობაზე დასასწრებლად თითო დელეგატს 25 ნამდვილ წევრზე. ფილიალს, რომლის წევრთა რიცხვი განსაზღვრულ ნორმაზე ნაკლებია, უფლება აქვს გამოგზავნოს ერთი დელეგატი. ყრილობის განსახილველი საგნები: 1) თანამედროვე მომენტი და მასწავლ. კავშირის როლი; 2) გამგეობის მოქმედების ანგარიში; 3) წესდების გადასინჯვა; 4) ერობა და მასწავლებელთა კავშირი; 5) მასწავლებელთა სახლი და ცენტრალური ბიბლიოთეკა; 6) მასწავლ. ნივთიერი მდგომარეობა; 7) სკოლის გარეშე განათლება და მასწ. კავშირი; 8) სახალხო ბიბლიოთეკები და სამკითხველოები; 9) მოძრავი სკოლები და სახალხო კითხვები; 10) სასკოლო პროგრამები და სახელმძღვანელო წიგნები; 11) პედაგოგიური ჟურნალი; 12) სრულიად საქართველოს მასწავლ. კავშირის წესდების პროექტი; 13) საქართველოს რესპუბლიკის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობის მოწვევა და საორგანიზაციო ბიუროს

გთხოვთ გამანთავისუფლოთ.

არჩევა; 14) დელეგატების განცხადებები; 15) გამგეობის არჩევა და სხვა კითხვები. დელეგატებს მიეცემათ ბინა, ჩაი და მგზავრობის განსაზღვრული ფული.

ყრილობა გასტანს 4 დღეს.

ქ-რის გამგეობა.

## პროვინცია

სათავადოს რაიონში და მის განაპირა სოფლებში ერთ ახირებულ ჩვეულებას ძლიერ აქვს ფესვები გადგმული. ეს განსაკუთრებით ქალების გამოგლოვება ოჯახის წევრის გარდაცვალების დროს. ამ ჩვეულებას ისე მაგრათ აქვს ფესვი გადგმული ხალხში, რომ მისი აღმოსაფხვრელად საჭიროა განსაკუთრებული ზომები. ამ ჩვეულების ვინ გინდა, რომ არ მისდევდეს: მღვდელი, დიაკონი, ინტელიგენტი თუ მუშები, ყველა ერთი მეორეს ეჯიბრება ამაში. [illegible]

ყ. ნ.

## ს.-დემ. პარტიაში

დ. ჩრდილო (ლეჩხუმის მაზრა). კვირას, 1 დეკემბერს, მოხდა პარტიულ კლუბში ს.-დ. პარტიული კრება. განსახილველი კითხვები იყო: 1) თანამედროვე მომენტი, 2) [illegible] მოხსენება, 3) ეროვნ საკითხი, 4) პარტიული მუშაობა, 5) გაზეთ ს.-დ. ფრონტის დაარსება, 6) საწევრო გადასახადი, 7) ბინის საკითხი, 8) [illegible]. კრებამ [illegible]

ამხ. რ. ყიფიანმა [illegible]

### ღია ბარათი
მეტეხის ლუდხანის ქ. მახარაძეს.

ბ-ნო პლატონ! ყურყუთ გახსოვთ, რომ თქვენ კეთილი ინებეთ და განაცხადეთ სურვილი გეყიდათ ქართული ლატარიის ბილეთების გაყიდვა—გავრცელება და კიდეც მოგცეს ოთხასი ბილეთი. პირველ დარბაზობის დროს თქვენ გადმოგვეცით 175 მანეთი. შემდეგ გვსტუმრეთ, მაგრამ თქვენი სასადილო „იმედი“ დაკეტილი დაგვხვდა. ეხლა გავიგეთ, რომ თქვენ თფილისიდან წაბრძანებულხართ და ახალი ადრესი თქვენი კი ვერ გვითხრეს.

ამით გთხოვთ, დღეიდან ათი დღის განმავლობაში ჩააბაროთ გამგეობას ყოველივე ანგარიში (სასახლის ქუჩა, № 5, ლატარიის კანტორა ტელ. 7—61).

ლატარიის გამგე დირექტორი **ხიდ. აბაშიძე.** (?)

# განცხადებანი

გახსნილია
## კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი ხნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საშვილოსნო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. მ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი
## ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ზუბალოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
## ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

მედიცინის დოქტორი
## ა. გ. მაჭავარიანი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩა. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ველის ტელ. № 49.

ექიმი
## კეკელია
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

**კბილის საექიმო კაბინეთები**
**თედორე სამუელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—85.

**მს. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაზოვიჩ**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ექიმ-ქირურგი, მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანგებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი
## პ. ტ. ლორთქიფანიძე
(ბაქოდან)
მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.
ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

**ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე**
## მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი ქალი
**ე. ს. კარუჩის—ზიზურიშვილი.**
იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. გ. ლევენშტეინისა.**
რენტგენო ფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა. სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ძვლების ავადმყოფობისა. ელექტრო-მკურნალობა და მზიანი ტერაპია. მიღება დილის 10 ნახ.—1 საათ. და საღ. 4—7 საათ. მისამართი: კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3.

# სახელმწიფო თეატრი
ოპერა

კვირას, 29 დეკემბერს, დილით, მეორე ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ საზანევას, სარაჯიშვილის, ვრონსკის, ნოვაცკის, დემიანენკოს მონაწილეობით

## სევილიელი დალაქი

საღამოს, ალეშკოს, კანშინის, პოლიაევის მონაწილეობით „ტოსკა“ და ბალეტი (ოპერა „ჯიოკონდიდან“, საათებს თამაში).

სამშაბათს, 31 დეკემბერს, „ტრავიატა“.

**სახელმწიფო თეატრი**

ოთხშაბათს, 1 იანვარს, საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტის და სახელმწიფო თეატრის თაოსნობით სამშობლოს დამცველ მეომართა პატივსაცემათ და სასარგებლოთ გაიმართება

## დიდი მხატვრული საღამო

შინაარსი პირიმზე სამუსიკო ლეგენდა ბალეტით (კეთილთა ბოროტ სულთა ბრძოლა) 1 მოქმ. კ. ფოცხვერაშვილისა. სიმფონიური და სასიმღერო განყოფილება ქართველ მუსიკოსთა ნაწარმოებთაგან. ბალეტი სახელმწიფო თეატრის რჩეულ მოცეკვავეთა ანსამბლით. მონაწილეობას მიიღებენ: სახელმწიფო თეატრის, სამუსიკო საზოგადოების და მსახიობთა კავშირის საუკეთესო ძალები.

**რეჟისორი ალ. წუწუნავა.** გამგე საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. **აფიშები არ გამოვა.**

# განცხადება.

გორის სამაზრო ერობის გამგეობა იწვევს ერობის სამსახურში: მოსამართლეებს, აგრონომებს, ექიმებს, მეითლეებს, სტატისტიკოსს, ბუხჰალტერს და ტეხნიკოს-ინჟინრებს, მსურველებმა უნდა მიმართონ გამგეობას—წარმოუდგინონ საჭირო ცნობები და მოკლე curceulum vitae.

**ერობის გამგეობა.**

**მუშტაიდი** დემოკრატიული ძღუნა **მუშტაიდი**

დიმ. კლ. არს. ქართ. სახ. წარ. მმართველი წრე. კვირას, 29 დეკ. 1918 წ.

**ბრძოლის ველზე გმირულათ დაღუპულთა ღარიბ ოჯახების სასარგებლოთ**

წარმოდგენილი იქნება:

# სამშობლო

5 მოქ. და 5 სურ. დ. ერისთავისა.

ბილეთების ფასი სახალხოა, დასაწყისი საღამოს 6 საათზე. რეჟისორი პ. ფრანგიშვილი. ქართულ წარ. მმართ. წრის გამგეობა. (1—1)

# სახალხო სახლი
სახ. სახ. არს. ქართ. წარ. მმართველი წრე.

სამშაბათს, 31 დეკემბერს, 1918 წ. წარმოდგენილი იქნება
პირველად ეგნ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული

# მოსე მწერალი

დრ. 4 მოქ. გრ. საქარიქედელისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. ანტუანეტა, ე. ბარათაშვილისა, ე. იანქოშვილი, ნ. მამულაშვილი. ბ.ბ. ვ. არაბიძე, ე. თალაკვაძე, ა. ივერელი, ა. თავდგირიძე, ი. რომანიშვილი, ი. მინდიაშვილი, ბ. მამ+ჯანოვი, ი. სალაყაია, სამხარაძე, ფირიაშვილი.

დასაწყისი საღამოს 6 ნახ. საათზე. **რეჟისორი ივ. ბარველი.**

(2—1.

კვირას, 29 დეკემბერს დილის 10 საათზე, სახალხო სახლში შესდგება ს. ს. დ. მ. პ. თბილ. ორგ. მეორე რაიონის წევრთა

# საზოგადო კრება

მოხსენებას გააკეთებენ ამხ. რ. ჩიხლაძე და ეც. გეგეჭკორი.

1919 წ, სამ იანვარს დანიშნულია გურიის საქ. სოც. დემოკ. პ. კომიტეტის

# კრება

ვსთხოვთ წევრებს დაესწრან.

(2—1) **პრეზიდიუმი.**

**თბილისის სამაზრო სასოფლო გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ თბილისის მაზრაში ასარჩევია

# მომრიგებელი მოსამართლენი

შემდეგ სამოსამართლო უბნებში: 1) თბილისის უბანი—ბინა ქ. თბილისი. 2) მანგლისის უბანი—ბინა მანგლისი. 3) ალგეთის უბანი—ბინა ალგეთში (შული-კლუჩში). 4) ყარაიაზში. 5) საგარეჯოს უბანი—ბინა საგარეჯოში და 6) სართიჭალის უბანი—ბინა სართიჭალა ან მარტყოფი. უბნის მომრიგებელ მოსამართლეს მიეცემა ჯამაგირი 650 მან. თვეში, ამის გარდა საკანცელარიო მასალის და ბინის გათბობა-განათებაში 415 მან. თვეში. ვისაც სურს არჩეულ იქმნას მოსამართლედ განცხადება, დოკუმენტები და curriculum vitae უნდა შემოიტანოს ერობის სახელზედ: რუსთაველის ქუჩა № 6 (გოლოვინის პროსპექტი), სადაც გუბერნიის კომენდატურა იდგა. **გამგეობა.**

# კახეთის რკინის გზის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ გზისთვის საჭიროა 1000 ფუთი ხორბალი და 2,000 ფუთი სიმინდი. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება კახეთის რკინის გზის სამმართველოში (ელისაბედის ქ. № 73) სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ლექავასთან, 9—3 საათამდე. ტელეფონი № 750. (3—2)

# თფილისის მოქალაქეთ.

1919 წლის 1 იანვარს ეწურება ვადა უთავდებათ ქალაქის საბჭოს ხმოსანთ, და ამიტომ თბილისის ქალაქის გამგეობა ატყობინებს თბილისის მოქალაქეთ, რომ 28, 29, და 30 ამ ქრისტიშობისთვეს მოხდება სამ-დღიური აღწერა ახალ-საარჩევნო სიების შესადგენად.

აღწერის მოსახდენათ ქალაქის გამგეობამ დანიშნა რამდენიმე ასეული აღმწერი, რომელთაც მიეცემათ ხელმოწერილი და ბეჭედ-დასმული მოწმობები.

აღწერის გაჭიანურებისა და საარჩევნო სიებში ვისიმე გამოტოვების თავიდან ასაცილებლად ქალაქის გამგეობა სთხოვს თბილისის მოქალაქეთ აღწერის დღეებში (28, 29 და 30 ქრისტიშ). სახლში იყვნენ დილის 9 საათ. ნაშუადღევის 4 საათამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში დასტოვონ სახლში დაწვრილებითი ცნობები როგორც თავისა, აგრეთვე ოჯახის შესახებ, ამ შემთხვევაში სავალდებულოა დასტოვონ საბუთები, რომლის ძალითაც შეტანილ უნდა იქნენ საარჩევნო სიებში, რომელთათვისაც საჭიროა შემდეგი ცნობები: № კომისარიატისა, ქუჩისა, სახლისა და ბინისა. გვარი, სახელი და მამის სახელი. წლოვანება. ეროვნება. ხელობა, იცის თუ არა წერა-კითხვა.

აღმწერთა მუშაობის ასაჩქარებლათ და აგრეთვე სიების სრულ და სწორ შედგენისათვის, ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ—მიაწოდონ აღმწერთ საჭირო ცნობები, რომელთაც კი დამოკიდებულება ექნებათ საარჩევნო სიების შედგენასთან, და თუ საჭიროთ აღმოჩნდება, აჩვენონ ხოლმე საბუთებიც, რომელნიც უნდა ამოწმებდნენ, რომ ესა თუ ის პირი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა (პასპორტი, მეტრიკული მოწმობა, ან ნამსახურობითი სია—თავისი ან მამისა)—ჩამომავლობით ქართველნი ყოველთვე შემთხვევაში ითვლებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებად, ამიტომ ზემოდ აღნიშნულ საბუთების წარდგენა მათთვის სავალდებულო არ არის, გარდა მეტრიკული მოწმობისა იმ პირთათვის, რომელნიც გარეგანი შეხედულობით 20 წლისაზედ უმცროსნი არიან.

თუ რაიმე გაუგებრობამ იჩინა თავი აღმწერთა და მოქალაქეთა შორის, ქალაქის გამგეობა სთხოვს უკანასკნელთ მიმართონ საუბნო ბიუროებს.

საუბნო ბიუროები აღწერის დღეებში ღია იქნება დილის 9 ს. ნაშუადღევის 4 საათამდე—ქვემოდ ჩამოთვლილ ცემეტ ადგილას:

1 უბანი—სამოქალაქო პირველდაწყებითი სკოლა. ოლღას ქ. № 52 ს. მაჩაბლისა.
2 „ ვაჟების პირველი გიმნაზია. გოლოვინის პრ.
3 „ ქალების მესამე გიმნაზია. ლერმონტოვის ქუჩა.
4 „ მანთაშევის ქარვასლა. სომხების ბაზარი № 62.
5 „ პუშკინის სამოქალაქო სკოლა. ვორონცოვის ქ.
6 „ ნადზალადევის თავშესაფარი.
7 „ ავლაბრის საზამთრო კლუბი.
8 „ პირველი საკომერციო სასწავლებელი.
9 „ სამოქალაქო სკოლა პეტრე დიდის სახელობაზე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29.
10 „ ზუბალაშვილის სახალხო სახლი.
11 „ ნაძალადევის თეატრი. ჩერქეზოვის ქ.
12 „ რკინიგზის სასწავლებელი.
13 „ სამხრეთლის კომისარიატი.

(3—3) **თფილისის ქალაქის გამგეობა.**

ამა წლის 29 აგვისტოს (ახ. სტილ.) ბელორეჩინსკაიას 9 ვერსით მოშორებულ სტანიცა ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაფსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს

# უგზოუკვლოდ დაიკარგა
1-ლი ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი

**დავით არონის ძე ელიზბარაშვილი.**

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს, დაბეჯითებით ვსთხოვთ,

# ჯილდოს მიიღებით

შეატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი. მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, არონ იაკობისძე ელიზბარაშვილი. (12—12)

მეწრიადლ-მეშადლავე სტამბა რუხაძისა, გაზეთის შესახვევი. № 1.